**ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ქეთო და კოტე"-ს ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.**

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 12 დეკემბერს.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

______________________________________

მაია მანჯგალაძე

**დირექტორი**

2023 წლის 12 დეკემბერი

თბილისი, საქართველო

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ქეთო და კოტე“**
**მოგებაზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**
**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
*( ქართულ ლარში )*

| | შენიშვნები | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2021 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|---|
| ამონაგები სარესტორნო მომსახურებიდან | 5 | 3,659,760 | 2,172,188 |
| სხვა შემოსავლები | 6 | 177,880 | 11,084 |
| ცვლილებები მარაგის ნაშთში: მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება | | 65,211 | 28,835 |
| შეძენილი ნედლეული და მასალები | | (1,685,681) | (629,884) |
| დასაქმებულ პირთა  გასამრჯელოები | | (1,605,479) | (751,146) |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი | | (106,310) | (57,668) |
| კომუნალური ხარჯები | | (103,654) | (79,274) |
| სხვა ხარჯები | 7 | (308,713) | (306,680) |
| ფინანსური ხარჯები | 14 | (13,897) | (11,921) |
| **მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე** | | **79,118** | **375,534** |
| მოგების გადასახადი | | (6,774) | (3,715) |
| **მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის** | | **72,343** | **371,819** |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მაია მანჯგალაძე**
**დირექტორი**

2023 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ქეთო და კოტე"**
**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**
**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
*( ქართულ ლარში )*

| | შენიშვნები | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2021 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | |
| ძირითადი საშუალებები | 8 | 946,120 | 286,013 |
| არამატერიალური აქტივები | 8 | 11,769 | 14,137 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **957,889** | **300,150** |
| **მიმდინარე აქტივები** | | | |
| მარაგები | 9 | 126,787 | 61,576 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 10 | 61,337 | 17,480 |
| გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები | 11 | 420,971 | 1,110,000 |
| ფულადი სახსრები და ექვივალენტები | 12 | 314,937 | 396,585 |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | | **924,033** | **1,585,641** |
| **სულ აქტივები:** | | **1,881,922** | **1,885,791** |
| **საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | | | |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | |
| გაუნაწილებელი მოგება_ზარალი | | 1,430,114 | 1,390,807 |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | | **1,430,114** | **1,390,807** |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | | |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 13 | 232,583 | 223,271 |
| მოკლევადიანი სესხი | 14 | 83,003 | 106,394 |
| საგადასახადო ვალდებულებები | | 136,222 | 165,319 |
| **სულ მოკლევადიანი ვალდებულებები** | | **451,808** | **494,984** |
| **სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | | **1,881,922** | **1,885,791** |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მაია მანჯგალაძე**
**დირექტორი**

2023 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ქეთო და კოტე"**
**კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება**
**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
*( ქართულ ლარში )*

| | შენიშვნა | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება-ზარალი | სულ |
|---|---|---|---|---|
| **31.12.2020 ნაშთი** | | **-** | **1,040,041** | **1,040,041** |
| დივიდენდის განაწილება | | - | (21,053) | **(21,053)** |
| მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი | | - | 371,819 | **371,819** |
| **31.12.2021 ნაშთი** | | **-** | **1,390,807** | **1,390,807** |
| დივიდენდის განაწილება | | - | (33,037) | **(33,037)** |
| მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი | | - | 72,343 | **72,343** |
| **31.12.2022 ნაშთი** | | **-** | **1,430,114** | **1,430,114** |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

______________________________

**მაია მანჯგალაძე**
**დირექტორი**

2023 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ქეთო და კოტე"**
**ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**
**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
*( ქართულ ლარში )*

| | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2021 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | |
| საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები | 4,274,810 | 2,462,659 |
| საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები | (1,735,305) | (1,072,304) |
| დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები | (1,284,383) | (580,877) |
| გადახდილი გადასახადები | (682,927) | (380,885) |
| **წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | **572,195** | **428,593** |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები | (588,691) | (4,876) |
| **საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები** | **(588,691)** | **(4,876)** |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | |
| სესხის ძირის გადახდა | (23,236) | (14,254) |
| საპროცენტო ხარჯები | (13,896) | (11,921) |
| დეპოზიტზე დარიცხული პროცენტი | 825 | 304 |
| დივიდენდის განაწილება | (31,385) | (20,000) |
| უცხოური ვალუტის გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი | 2,541 | (2,132) |
| **საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები** | **(65,151)** | **(48,003)** |
| **ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)** | **(81,647)** | **375,714** |
| **ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის** | **396,585** | **20,871** |
| **ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის** | **314,937** | **396,585** |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

______________________________

**მაია მანჯგალაძე**
**დირექტორი**

2023 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ქეთო და კოტე"**
**ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე**

**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
*( ქართულ ლარში )*

1. **ზოგადი ინფორმაცია**

შპს "ქეთო და კოტე" წარმოადგენს შეზღუდული პასუხისგმებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში. რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლის 20 მაისს, საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი 405368640 .

იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია საქართველო, ქ. თბილისი თორაძის ჩიხი 3

კომპანიის დამფუძნებელი და 100 % წილის მფლობელია მაია მანჯგალაძე.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა: სარესტორნე მომსახურება.

2. **ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი**

***ა ) განცხადება შესაბამისობის თაობაზე***

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის" (IFRS-SME-ებისთვის) შესაბამისად.

***ბ ) გაანგარიშების საფუძველი***

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

***გ ) უწყვეტობის პრინციპი***

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. ამ ღონისძიებებმა უარყოფითი გავლენა იქონია ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე, კომპანიის საქმიანობის ჩათვლით.

კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად. საოპერაციო პროცესები მიმდინარეობდა კომპანიაში ყველა წესებისა და რეგულაციების დაცვით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების შეწყვეტა, არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებების სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან.

3. **მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები**

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის (შენიშვნა 4) გამოყენებისას ხელმძღვანელობას მოეთხოვება მსჯელობის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა შესაფერის ფაქტორებს.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

________________________________________

**მაია მანჯგალაძე**
**დირექტორი**

2023 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროებია:

**სასარგებლო მომსახურების ვადები**

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მსჯელობის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებით მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

**მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი**

კომპანია ქმნის საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვს, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საეჭვო ვალების რეზერვების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძვლად იყენებს საერთო

ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს.

4. **მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**

**სამუშაო და წარსადგენი ვალუტა**

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი. ლარში წარმოდგენილი ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ერთეულამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

**ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ლარის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. ყველა სხვაობა შეტანილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

| | აშშ დოლარი | ევრო |
|---|---|---|
| კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის | 2,702 | 28,844 |
| კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის | 3.0976 | 3.504 |

**ამონაგების აღიარება**

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

შემოსავლები წარდგენილია კორექტირებების, ფასდაკლებების გათვალისწინებით.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

______________________________

**მაია მანჯგალაძე**
**დირექტორი**

2023 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ქეთო და კოტე"**
**ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე**

**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
*( ქართულ ლარში )*
კომპანიის შემოსავლები მოიცავს კომპანიებისგან და ფიზიკური პირებისგან მიღებულ შემოსავალს.

**კომპანიები** - კომპანია აღიარებს შემოსავლებს კომპანიებისგან, მომსახურების დასრულების და კომპანიის მიერ დადგენილი ფასების საფუძველზე, შემოსავლების მიღება ძირითადად ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით და ელექტრონული ბარათებით.

ფიზიკური პირები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებისგან, მომსახურების დასრულების და კომპანიის მიერ დადგენილი ფასების საფუძველზე, შემოსავლების მიღება ძირითადად ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით და ელექტრონული ბარათებით, მცირედი ნაღდი ფულით.

**ხარჯები**

კომპანიაში ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. ხარჯების კლასიფიკაცია ხდება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

***დაქირავებულ პირთა ხელფასებისა და გასამჯრელოების ხარჯი***

ასახულია ყველა ხელფასი, ძირითადი ხელფასები და ხელფასები ხელშეკრულებებით.

***ფინანსური ხარჯი***

ფინანსურ ხარჯად ძირითადად კლასიფიცირებულია საპროცენტო ხარჯები, რომლებიც წარმოიშობა სასესხო ვალდებულებებიდან.

**მარაგები**

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შეძენასთან. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს.

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა კლასისათვის. პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარებულია ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯში.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია გამოყენების განსხვავებული პირობები, მაშინ ასეთი აქტივები აღირიცხება ინდივიდუალაურად.

ძირითადი საშუალებების კლასების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მაია მანჯგალაძე**
**დირექტორი**

2023 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

| კლასი | სასარგებლო მომსახურების ვადა |
|---|---|
| ნაგებობა | 50-60 |
| მანქანა-დანადგარები | 5-10 |
| ოფისის აღჭურვილობა კომპიუტერული ტექნიკა | 5-10 |

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ინდიკატორის არსებობის შემთხვევაში. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით.

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგება-ზარალში აღიარდება.

**მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება**

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმოიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას, რათა განსაზღვროს არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი (თუ ასეთი არსებობს). როდესაც შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც მიეკუთვნება ეს აქტივი. როდესაც შესაძლებელია განაწილების დასაბუთებადი და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება, კორპორაციული აქტივებიც ინდივიდუალურ ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულებზე განაწილდება, სხვა შემთხვევაში ისინი მიეკუთვნება უმცირეს ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულს, რომლისთვისაც შესაძლებელი იქნება განაწილების დასაბუთებული და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და იმ აქტივისთვის სპეციფიკურ რისკებს, რომლის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასება შესწორებული არ არის.

თუ განისაზღვრება, რომ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

თუ მომავალში გაუფასურების ზარალი ანულირდება, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებამდე, ისე რომ, გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო გასულ წლებში, გაუფასურების ზარალის ანულირება დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

**კაპიტალი**

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე.

**დივიდენდები**

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

**გადასახადები**

**ხელმძღვანელობის სახელით:**

______________________________

**მაია მანჯგალაძე**
**დირექტორი**

2023 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში, მათი გაწევის შემთხვევაში.

**<u>გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა</u>**

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი (საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას) მოვლენა. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

**ფინანსური ინსტრუმენტები**

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც კომპანია ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულების მხარე ხდება. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება გარიგების ფასით.

კომპანიის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.

<u>ფული და ფულის ეკვივალენტები</u>

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

<u>სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება</u>

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით. მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება, ნომინალური ღირებულებით აისახება.

იმ მიზნით, რომ ყოველი წლის ბოლოს კომპანიამ შეძლოს მოთხოვნების სწორი ანალიზი და შექმნას ხანდაზმული მოთხოვნების რეზერვი, კომპანია ატარებს გაუფასურების ანალიზს. გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას თუ რამდენად მიიღებს გარკვეული კლიენტისგან დავალიანებულ თანხას.

<u>ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა</u>

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს, როდესაც აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლების ვადა ამოიწურება ან როდესაც ფინანსურ აქტივსა და მის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს.

<u>ფინანსური ვალდებულებები</u>

**ხელმძღვანელობის სახელით:**

---

**მაია მანჯგალაძე**
**დირექტორი**

2023 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

ფინანსური ვალდებულებები (ნასესხები თანხები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები) შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

<u>ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა</u>

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც კომპანიის მოვალეობები შესრულებულია, გაუქმებულია ან ვადაგასულია. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ კომპენსაციას შორის სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება.

<u>სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები</u>

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა გულისხმობს ნასესხები თანხების კაპიტალიზებას.

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია, დაიწყო როდესაც:

ა) განსაკუთრებულ აქტივზე გაწეულია პირველი დანახარჯები;

ბ) გაწეულია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული პირველი დანახარჯები;

გ) დაწყებულია აუცილებელი სამუშაოები მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდ მდგომარეობაში მოსაყვანად

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯის კაპიტალიზაციის პროცესი შეწყდა მაშინ, როდესაც, ძირითადად, დამთავრდება მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის ყველა აქტიური სამუშაო და კომპანიამ აღნიშნული აქტივებიდან მიიღო შემოსავლები

**იჯარა**

<u>ფინანსური იჯარა</u>

კომპანია იჯარას აკლასიფიცირებს ფინანსურ იჯარად, თუ შეთანხმება ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

<u>კომპანია როგორც მოიჯარე -</u>

ფინანსური იჯარით მიღებული აქტივის გამოყენების უფლება აღიარდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგება როგორც ძირითადი საშუალება. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რადგან შეთანხმების თანახმად საკუთრების უფლება გადმოეცემა კომპანიას. ფინანსური იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ყოველთვიურად.

<u>საოპერაციო იჯარა</u>

კომპანია იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად, თუ შეთანხმება არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

<u>კომპანია როგორც მეიჯარე -</u>

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. იმის დასადგენად, გაუფასურდა თუ არა იჯარით გაცემული აქტივი, მეიჯარე იყენებს 27-ე განყოფილების მოთხოვნებს.

**ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები**

**ხელმძღვანელობის სახელით:**

______________________________

**მაია მანჯგალაძე**
**დირექტორი**

2023 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონონიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. თუმცა ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

**საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

**5. ამონაგები სარესტორნო მომსახურებიდან**

| | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2021 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| შემოსავალი სარესტორნო მომსახურებიდან | 3,659,760 | 2,172,188 |
| **სულ** | **3,659,760** | **2,172,188** |

**6. სხვა შემოსავლები**

| | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2021 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| მოკლევადიან დეპოზიტზე დარიცხული პროცენტი | 825 | 701 |
| უსასყიდლოდ მიღებული ქონება მომსახურება | 177,056 | 10,383 |
| **სულ** | **177,880** | **11,084** |

**7. სხვა ხარჯები**

| | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2021 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| მომსახურების ხარჯები | 200,926 | 212,104 |
| სხვა ხარჯები | 88,261 | 76,358 |
| საიჯარო ქირა | 17,694 | 279 |
| საბანკო მომსახურება | 1,437 | 1,254 |
| დაზღვევა | 395 | 16,685 |
| **სულ** | **308,713** | **306,680** |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

____________________________________

**მაია მანჯგალაძე**
**დირექტორი**

2023 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ქეთო და კოტე"**
**ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე**

**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
*( ქართულ ლარში )*

**8. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივი**

| საბალანსო ღირებულება | ნაგებობა | მანქანა-დანადგარები | ოფისის აღჭურვილობა კომპიუტერული ტექნიკა | არამატერიალური აქტივი | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| საბალანსო ღირებულება | | | | | |
| **დეკემბერი 31, 2020** | **58,042** | **374,077** | **14,141** | **18,754** | **465,014** |
| მატება | - | - | 4,876 | | **4,876** |
| კლება | - | - | - | | **-** |
| **დეკემბერი 31, 2021** | **58,042** | **374,077** | **19,017** | **18,754** | **469,890** |
| მატება | - | 764,049 | - | - | **764,049** |
| კლება | - | | - | | **-** |
| **დეკემბერი 31, 2022** | **58,042** | **1,138,126** | **19,017** | **18,754** | **1,157,143** |
| *დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება* | | - | | | **-** |
| **დეკემბერი 31, 2020** | **(8,706)** | **(96,874)** | **(4,242)** | **(2,249)** | **(112,072)** |
| მიმდინარე წლის ცვეთა | (2,467) | (50,854) | (1,980) | (2,368) | **(57,668)** |
| ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე | | - | | | **-** |
| **დეკემბერი 31, 2021** | **(11,173)** | **(147,728)** | **(6,222)** | **(4,617)** | **(153,950)** |
| მიმდინარე წლის ცვეთა | (2,343) | (99,040) | (2,559) | (2,368) | **(106,310)** |
| ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე | - | - | - | - | **-** |
| **დეკემბერი 31, 2022** | **(13,516)** | **(246,767)** | **(8,781)** | **(6,985)** | **(255,549)** |
| ნარჩენი ღირებულება | | | | | |
| **დეკემბერი 31, 2020** | **49,336** | **277,203** | **9,899** | **16,505** | **352,942** |
| **დეკემბერი 31, 2021** | **46,869** | **226,349** | **12,795** | **14,137** | **300,150** |
| **დეკემბერი 31, 2022** | **44,525** | **891,359** | **10,236** | **11,769** | **957,889** |

, ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) (ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე; (ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან; (გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში. ვინაიდან მოსალოდნელია გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

______________________________

**მაია მანჯგალაძე**
**დირექტორი**

2023 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

**9. მარაგი**

| | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2021 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ნედლეული და მასალები | 126,787 | 61,576 |
| **სულ მარაგები** | **126,787** | **61,576** |
| | | |
| პერიოდის განმავლობაში ხარჯი აღიარებული მარაგი | 1,620,470 | 601,049 |

**10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

| | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2021 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| სავაჭრო დებიტორები | 31,843 | 10,619 |
| **სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება** | **31,843** | **10,619** |
| მ.შ. დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღები | - | - |
| სხვა მხარეებისაგან მისაღები | 31,843 | 10,619 |
| წინასწარი გადახდები | 29,494 | 6,861 |
| **სულ** | **61,337** | **17,480** |

თითოეული დავალიანების გაუფასურების ანალიზი ინდივიდუალურად ხდება ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის. ანალიზები მოიცავს მომხმარებლებისგან მიღებული შემდგომი ფულადი სახსრების შემოწმებას.

**11. გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები**

| | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2021 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| წინასწარ გადახდები | 420,971 | 1,110,000 |
| **სულ** | **420,971** | **1,110,000** |

**12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები**

| | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2021 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ფულადი სახსრები სალაროში | 308,952 | 389,744 |
| ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე | 5,985 | 6,841 |
| **სულ** | **314,937** | **396,585** |

**13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

| | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2021 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| სავაჭრო ვალდებულებები | 232,583 | 223,271 |
| მ.შ. დაკავშირებული მხარეებისათათვის გადასახადელი | - | - |
| სხვა მომწოდებლებისათვის გადასახდელი | 232,583 | 223,271 |
| **სულ** | **232,583** | **223,271** |

**14. სასესხო ვალდებულებები**

| | ვადა | პროცენტი | ნაშთი 31.12.2021 | ნაშთი 31.12.2022 |
|---|---|---|---|---|
| საბანკო სესხი | მოკლევადიანი | 10.50% | 106,394 | 83,003 |
| **სულ სესხები** | | | **106,394** | **83,003** |

| | | |
|---|---|---|
| მიღებულ სესხზე საპროცენტო ხარჯმა შეადგინა | 2022 | 2021 |
| | 13,897 | 11,921 |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

________________________________

**მაია მანჯგალაძე**
**დირექტორი**

2023 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

**15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები**

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

ნაშთები და ოპერაციები კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირებსა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები შედგება დირექტორებისგან, ხოლო სხვა დაკავშირებული მხარეები კომპანიებისაგან, რომლებშიც ფლობენ წილებს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები, ან იკავებენ მმართველობით პოზიციებს.

| | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა | 108,913 | 100,241 |

**16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხვდარა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა.

**17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება**

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 12 დეკემბერს.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

________________________________________

**მაია მანჯგალაძე**
**დირექტორი**

2023 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო